საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ისააკიანი ავეტიქ სააკის ძე

ისააკიანი ავეტიქ სააკის ძე [19(31). X. 1875, ღაზარაპატი, ალექსანდროპოლის (ახლანდ. გიუმრი) მახლობლად, – 17. X. 1957, ერევანი], სომეხი პოეტი, სომხ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1943).

1889–92 სწავლობდა ეჩმიაძინის სას. სემინარიაში, საიდანაც გარიცხეს მკაცრი რეჟიმის წინააღმდეგ გაფიცვაში მონაწილეობისათვის. ჩამოვიდა თბილისში და დაუახლოვდა თბილისელ სომეხ მწერალთა წრეს (ო. თუმანიანი, ღ. აღაიანი და სხვ.). 1892–93 გამოაქვეყნა ლექსები თბილ. სომხ. ჟურნალში „ტარაზ" („მოდა"); ლექსების პირველმა კრებულმა „სიმღერები და ჭრილობები" (1898, ალექსანდროპოლი) პოეტს აღიარება მოუტანა.

ი-ის ლექსებში გაისმოდა ეროვნ. და სოც. ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის მოტივები, რისთვისაც ბევრჯერ იყო რეპრესირებული. 1908 მეტეხის ციხეში იჯდა. 1911-იდან დიდხანს ცხოვრობდა საზღვარგარეთ. 1936 საბოლოოდ დაბრუნდა სომხეთში. 1909 ჟურნ. „გეღარვესტში" („ხელოვნება") გამოაქვეყნა პოემა „აბუ-ლალა-მაარი" (ცალკე წიგნად გამოვიდა კონსტანტინოპოლში 1911; ქართ. თარგმ. 1929, 1963, 1968). პოემა თავისი სულისკვეთებით (ადამიანის სწრაფვა ბედნიერებისა და ნათელი მომავლისაკენ) ენათესავება ნ. ბარათაშვილის „მერანს", ა. მიცკევიჩის „ფარისს" და სხვა მსგავს ნაწარმოებებს.

ი-ს ეკუთვნის ლექსებისა და მოთხრობების კრებ. „მოთმინების ჩიბუხი" (1928), ლექსების ციკლი: „ჩვენი ისტორიკოსები და ჩვენი გუსანები" (1939), „ჩემს სამშობლოს" (1940) და სხვ.; აღსანიშნავია პოემა „სასმა მჰერი" (1919, ქართ. თარგმ. 1939). ლექსში

„თავისუფლების ზარი" (1905) მყინვარწვერისა და მასისის სახით სიმბოლურად წარმოადგინა ქართვ. და სომეხი ხალხების მეგობრობა.

ქართ. თემაზეა დაწერილი მოთხრობა „შაქრო ვალიშვილი" (1906), პროზაული ნაწარმოები „ქართველი მგოსნის სიმღერა" (1937), ლექსი „თამარის სიმღერა" (1943) და სხვ. მისი ნაწარმოებები ნათარგმნი აქვთ ტ. ტაბიძეს, რ. თვარაძეს, გ. შაჰნაზარს, ი. აბაშიძეს და სხვ.

II მსოფლიო ომის წლებში გამოქვეყნებული პატრ. ლექსებისათვის ი-ს მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია (1946). მისი ნაწარმოებები თარგმნილია მსოფლიოს ხალხთა ენებზე.

თხზ.: ԵիկեՐ, ჰ. 1–4, Ե., 1958–59; რჩეული, თბ., 1955; რჩეული ლირიკა, თბ., 1975; საადის უკანასკნელი გაზაფხული, თბ., 1971.

ლიტ.: ა რ ვ ე ლ ა ძ ე ბ., მეგობრობის ნათელი ფურცლები, თბ., 1975; ნ ა ჰ ა პ ე ტ ი ა ნ ი მ., ა რ ვ ე ლ ა ძ ე ბ., ავეტიქ ისააკიანი, თბ., 1975; Г а н а л а н я н О. Т., Очерки армянской поэзии XIX–XX веков, 2 изд., Ер., 1964.

ბ. არველაძე